პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

1980 წელი ოთხშაბათი 30 იანვარი № 24 (17669) ☐ ფასი 2 კაპ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

დროშები — საუკეთესოებს

საქართველოს კომკავშირული ორგანიზაცია მეოთხედ დაჯილდოვდა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით

სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, რომელმაც ახლახან განიხილა 1979 წელს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის დათვალიერების შედეგები, დადგინა, რომ ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში მოკოკოვებული წარმატებებისათვის საქართველოს რესპუბლიკური კომკავშირული ორგანიზაცია რამდენიმე სხვა რესპუბლიკურ, სამხარეო და საოლქო კომკავშირულ ორგანიზაციასთან ერთად დაჯილდოვდეს სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

ეს მაღალი ჯილდო საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციების მებრძოლობის ზრდის კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა. იგი აგრეთვე ღირსეული შეფასებაც არის იმ დიდი მუშაობისა, რომლებსაც ისინი პარტიული კომიტეტების, პირველადი პარტორგანიზაციების ყოველდღიური ხელმძღვანელობითა და ვანელობითა და დახმარებით [illegible] ვიან ახალგაზრ[illegible] დობის კომუნისტური აღზრდისათვის, იმისათვის, რომ კიდევ უფრო გაიზარდოს მისი წვლილი სახალხო-სამეურნეო ამოცანების წარმატებით გადაჭრის, მეათე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე და ხარისხოვნად შესრულების პასუხსაგებ საქმეში.

სასიხარულოა, აღინიშნოს რომ მეათე ხუთწლედის მეოთხე წლის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებაში დიდი წვლილისათვის სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელით დაჯილდოვდა მზიური აბარის კომკავშირული ორგანიზაციაც.

მოგილოცავთ მაღალ ჯილდოებს, მეგობრებო!

პასუხისმგებლობა კანონის წინაშე

ჩვენი საზოგადოება ყოველთვის დიდ პატივს სცემდა ყველას, ვინც გამოირჩევა მაღალ კულტურით, წესიერებითა და წესრიგით, ვინც პასუხისმგებლობით ეკიდება საკუთარ მოქმედებას, ყოფაქცევას, მტკიცედ იცავს მოქალაქეობრივი ეთიკის ნორმებს, კეთილსინდისიერად შრომობს და ცხოვრობს.

ასეთი ადამიანები საბჭოთა კანონების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მაგალითებს იძლევიან, თავიანთი ქცევით სხვებსაც ასწავლიან და სასიკეთოს საქმეებისათვის მოუწოდებენ. „სწორედ საკუთარი მოვალეობებისადმი, ხალხის ინტერესებისადმი თითოეული მოქალაქის პასუხისმგებლური დაჟიდებულება, — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — ქმნის ერთადერთ საიმედო ბაზას სოციალისტური დემოკრატიზმის პრინციპების მაქსიმალურად სრული განხორციელებისათვის, პიროვნების ნამდვილი თავისუფლებისათვის“.

ახლა ჩვენში პარტიული, საბჭოთა, ადმინისტრაციული ორგანოები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები უაღრესად სასიკეთო ღონისძიებებს ახორციელებენ მტკიცე საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებისათვის, საბჭოთა კანონების მოთხოვნათა განუხრელი შესრულებისათვის, დანაშაულობათა და დარღვევათა აღკვეთისათვის. წესრიგისა და დისციპლინის განსამტკიცებლად, სამართალდარღვევათა და საერთოდ დანაშაულობათა აღსაკვეთად დიდი ორგანიზატორული, პოლიტიკური და პროფილაქტიკური მუშაობა, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ხელმძღვანელობით ეწევიან რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, მიმართულია იმისათვის, რომ ყველგან და ყველაფერში დამყარდეს საბჭოთა კომუნისტური წესრიგი, მტკიცე პარტიული, სახელმწიფო დისციპლინა, აღმოიფხვრას დანაშაულობები, გადაცდომები, სამართალდარღვევათა ცალკეული შემთხვევები. ასეთი მუშაობით მუშაკცისათვის, მშრომელი ადამიანისათვის ზრუნავ თელი ჩვენი ორგანიზატორული, პოლიტიკური და სამეურნეო საქმიანობის საფუძველს წარმოადგენს. სწორედ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობითა და ენერგიული მოქმედების წყალობით არის, რომ ადრეულ წლებში ჩვენში არსებული პროტექციონიზმის, მაამებლობისა და მლიქვნელობის, დამყაყებული ატმოსფერო განწირულია აქტიურობის, პრინციპულობის, ბოლშევიკური მომთხოვნელობისა და ოპტიმიზმის გაცოცხლებულმა ტონიერმა ნაკადმა.

ცხადია, ყოველივე ამან ხელი შეუწყო ახალი ცხოვრების დამკვიდრებას, ახლებურად აზროვნებასა და მოღვაწეობას, სასიკეთო რწმენის გაძლიერებას, რესპუბლიკის ღირსების ამაღლებისათვის მებრძოლ და საერთო ჯამში იმ დიდ წარმატებებს, რომლებიც საქართველოს სახალხო მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში ვაკეთებ მოპოვებული.

მაგრამ ეს როდი გვაძლევს დამშვიდებისა და მბარეობაზე წამოწოლის უფლებას. მთელ ჩვენს მუშაობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლი და ხარვეზი, ისეთი შემაწუხებელი და შემაშფოთებელი მოვლენები, როცა ირღვევა საბჭოთა კანონები, ადამიანური დამნაშავეები იტაცებენ სოციალისტურ ქონებას, ეწევიან მექრთამეობას, სპეკულაციას, ბრიბერებას, ქურდობას, მუქთახორობას და თავიანთი ოჯახებიდან ხელს უშლიან საზოგადოებას, სერიოზულ მატერიალურ და სულიერ ზიანს აყენებენ საბჭოთა სახელმწიფოს, ხალხს, მყუდროებას ურღვევენ ბრმად ადამიანს.

უკანასკნელ წლებში სამართალდარღვევათა და დანაშაულობათა აღმაშფოთებელი ფაქტები გამოვლინდა რესპუბლიკის კვების მრეწველობის, სავაჭრო მეურნეობის, სასოფლო მშენებლობის, ვაჭრობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროების, სახმომარაგების, ამიერკავკასიის რკინიგზის მუშათა მომარაგების, უსინდისოთა საზოგადოების და სხვა უწყებათა სისტემებში, აგრეთვე ქუთაისის, რუსთავის, მახარაძის, ორჯონიკიძის, ზუგდიდის, გულრიფშის, ლაგოდეხის, ბორდანის, ცხაკაიას, გაგრის, ცხინვალის, ქობულეთის, ხაშურის, ბოლნისის, წულუკიძის, დმანისის და სხვა რაიონებში და ქალაქებში.

სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის შემდგომი გაუმჯობესების, დანაშაულობრივი და სხვა ანტიზოგადოებრივ გამოვლინათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ფასდაუდებელი მნიშვნელობის დოკუმენტს, პარტიულ, საბჭოთა, ადმინისტრაციულ, სამეურნეო, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციათა სამოქმედო პროგრამას წარმოადგენს „კპკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება მართლწესრიგის დაცვისათვის მუშაობის გაუმჯობესებისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად“. ამ წერილის განხილვას ეძღვნება რესპუბლიკის საწარმოებისა და დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, უმაღლესი სასწავლებლების, სკოლების, სამეცნიერო დაწესებულებების პირველადი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების კრებები, რომლებზეც ასობით კომუნისტი და კომკავშირელი გამოვიდა. დიდი აქტიურობა, ცხარე სჯა-ბაასი, წამოჭრილი პრობლემების გადაჭრისადმი ნამდვილი კომუნისტური, ბრმამქმედებითი მიდგომა სუფევდა პარტიულ კრებებზე, რომლებიც გაიმართა თბილისის, აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, ქუთაისის, რუსთავის, ფოთის, ჭიათურის, ტყიბულის, მახარაძის, ზუგდიდის, გურჯაანის, თელავის, გარდაბნის, სამტრედიის, ლანჩხუთის, ახალქალაქის და სხვა რაიონებისა და ქალაქების, სამინისტროებისა და უწყებების პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებში.

მეზობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებული საქართველოს მშრომელები, რომლებიც მხურვალედ იწონებენ მის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, ეგებებიან რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს და ადგილობრივი საბჭოების არჩევნებს. ისინი აღსავსე არიან რევოლუციური ოპტიმიზმითა და რწმენით, რომ დაიპყრობენ პარტიის მიერ დასახულ ყველა მწვერვალს.

...სადღესასწაულოდ არის შორთული ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის კოლმეურნეობა „საქართველოს“ კულტურის სახლი. 29 იანვარს აქ გაიმართა № 3316 რუხის საარჩევნო ოლქის აშოარჩეველთა შეხვედრა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატთან, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან ედუარდ აბრეროსის ძე შევარდნაძესთან.

შეხვედრა მესავალი სიტყვით გახსნა პარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველმა მდივანმა ი. თ. თოდუამ.

საპატიო პრეზიდიუმში უდიდესი აღფრთოვანებით აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მეთაურობით.

დეპუტატობის კანდიდატის ხდომით აღშურვილმა პირმა — სოფელ რიყის კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსმა თ. ნ. ფაცაციამ ილაპარაკა ე. ა. შევარდნაძის ცხოვრების გზისა და შრომითი საქმიანობის შესახებ, რომელიც ძალ-ღონეს, ცოდნასა და გამოცდილებას არ იშურებს კომუნისტური მშენებლობის დიდი გეგმების განხორციელებისათვის. თ. ნ. ფაცაციამ დამსწრეთ გააცხო წარმატებანი, რომლებსაც რესპუბლიკის მშრომელებმა მიაღწიეს საქართველოს კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, აღნიშნა დეპუტატობის კანდიდატის დიდი ორგანიზატორული ნიჭი, მოიყვანა სკკპ ცენტრალური, კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვები; მან ლენინის ორდენის გადაცემისას ე. ა. შევარდნაძე დაახასიათა როგორც ენერგიული და გაბედული ადამიანი, რომელმაც საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელის პოსტზე მოიხვეჭა ავტორიტეტი რესპუბლიკასა და მთელ ქვეყანაში. ორატორმა ოლქის ყველა აშოარჩეველს მოუწოდა არჩევნების დღეს ერთსულოვნად მისცენ ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი ბლოკის კანდიდატებს.

ზუგდიდის რაიონის კომუნისტების, ყველა მშრომელის წინამძ პარტიის მიერ დასახული დიდი და პასუხსაგები ამოცანების, ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის გაჩაღებულ შეჯიბრებაში ამ რაიონის მშრომელთა წარმატებების შესახებ ილაპარაკეს შეხვედრაზე სოფელ რუხის კოლმეურნეობა „საქართველოს“ გაგეობის თავმჯდომარემ ზ. ლ. თოდუამ, ზუდა ეწრის სახოფლო-საბეურნეო ტექნიკუმის სტუდენტმა მ. გ. კოდუამ, რუხის საშუალო სკოლის დირექტორმა ვ. ვ. ნაჭყებიამ, ზუდა ეწრის საბჭოთა შეურნეობა-ტექნიკუმის შეღორეს ა. ნ. რიაბოკობმა, სოფელ რუხის კოლმეურნეობა „საქართველოს“ მეჩაიემ გ. დ. ჩაგინავამ.

შეხვედრაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა ე. ა. შევარდნაძემ, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ.

შეხვედრას დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატები ბ. ვ. ადლეიბა და ვ. რ. პაპუნიძე.

დაწვრილებითი ანგარიში აშხანაგ ე. ა. შევარდნაძესთან რუხის საარჩევნო ოლქის აშოარჩეველთა შეხვედრის შესახებ გამოქვეყნდება. (საქინფორმი).

ლენინური მეგობრობის ძალა

ამომარჩეველთა შეხვედრა ამხ. ე. ა. შევარდნაძესთან

შრომის უკუგების ამაღლებით

საქართველოს სსრ მშრომელთა 1980 წლის სოციალისტური ვალდებულებანი

წელი — ლენინური, გარჯა — დამკვრელური

საქართველოს სს რესპუბლიკის მშრომელებისათვის ისევე როგორც მთელი ჩვენი ქვეყნისათვის, 1979 წელი იყო სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად დაძაბული მუშაობის წელი, წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის საყოველთაო ამაღლებისათვის, ხალხის კეთილდღეობის ზრდისათვის კომუნისტური პარტიის მიერ დასახული კურსის პრაქტიკული ხორცშესხმის წელი.

1980 წელს რესპუბლიკის წინაშე ახალი, კიდევ უფრო პასუხსაგები ამოცანები დგას. ეს არის არა მარტო მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წელი, არამედ მეთერთმეტე ხუთწლეულის მტკიცე საფუძვლის შექმნის, სკკპ XXVI ყრილობისათვის აქტიური მზადების უმნიშვნელოვანესი პერიოდიც. ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, საქართველოს კომუნისტები, ქალაქისა და სოფლის მშრომელები სწორედ ასეთი პოზიციებიდან უდგებიან წლევანდელი აღმშენებლობითი მუშაობის პროგრამას, კანონიერი სიამაყის გრძნობით ავლეტენ თვალს 1979 წლის სახელოვან გზას და, ამასთანავე, მკაცრად აფასებენ მიღწეულს.

ხუთწლედის მეოთხე წელს ჩვენი ქვეყნის მიღწევებში თავიანთი წვლილი შეიტანეს საქართველოს მშრომელებმაც. ეკონომიკური და სოციალური განვითარების წლიური პროგრამის ძირითადი მაჩვენებლები, როგორც სოციალისტური ვალდებულებებით იყო გათვალისწინებული, გადაჭარბებით შესრულდა. სამრეწველო წარმოების მოცულობა წლის მანძილზე 7,2 პროცენტით გაიზარდა. წლის დამდეგიდან დავალების დამატებით გამოშვებულია 113 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია. შრომის ნაყოფიერების ზრდის გზით მიღებულია მრეწველობის პროდუქციის მთელი მატების 82 პროცენტი. სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი ნაწარმის რაოდენობა 1616-დან 2010-მდე გაიზარდა, ხოლო სპეციალური ხუთკუთხედიანი პროდუქციის ხვედრითი წილი გამოშვებული პროდუქციის საერთო მოცულობაში 11,6-დან 18 პროცენტამდე გადიდდა.

ამინდის რთული პირობების მიუხედავად, რესპუბლიკის სოფლის მშრომელებმა ასევე მაღალი მაჩვენებლებით დაამთავრეს მოსავლის აღება, 1979 წელს სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების სამამულო წარმოების მთელი ისტორიის მანძილზე პირველად დამზადდა 454 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 263 ათასი ტონა ციტრუსი, 577 ათასი ტონა მაღალხარისხოვანი ყურძენი. კარგად გაისარჯნენ აგრეთვე მეცხოველეები, მეკარტოფილეები, მებოსტნეები, საკვებდამამზადებლები, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ყველა ნამყვანი დარგის მშრომელები, რომლებსაც ეს წარმატება მიულოცა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

რესპუბლიკის ნარმატებებში ღირსეული წვლილი შეიტანეს მშენებლებმაც, რომლებმაც უზრუნველყვეს საცხოვრებელი ბინების, სკოლების, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების, პროფესიონალ-ტექნიკური სასწავლებლებისა და საავადმყოფოების საექსპლოატაციოდ გადაცემა. მოქმედთა მწყობრში ჩადგა აგრეთვე ენგურის უნიკალური ჰიდროელექტროსადგურის მეოთხე რიგი, თბილისის მეტროპოლიტენის მეორე რიგი, გაყვანილია რიკოთის უღელტეხილის საავტომობილო გზა, ამოქმედდა ამონიუმის გვარჯილისა და სუსტი აზოტმჟავას საწარმოო სიმძლავრენი რუსთავის ქიმიურ ქარხანაში, საწარმოო, სოციალური, კულტურული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების მთელი რიგი სხვა ობიექტები.

ამ მიღწევებმა ამრავლეს წარმატებანი მეათე ხუთწლედის საპატიო მიჯნების მიღწევისათვის ბრძოლაში. მთლიანად, ხუთწლედის განვლილი ოთხწლეულის განმავლობაში სახალხო მეურნეობა დინამიკურად და პროპორციულად ვითარდებოდა, როგორც ეს სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებით არის გათვალისწინებული. ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი ოთხ წელიწადში გაიზარდა 31 პროცენტით, ხოლო რესპუბლიკის ტერიტორიაზე წარმოებული ეროვნული შემოსავალი 34,6 პროცენტით, რაც მნიშვნელოვნად აღემატება ხუთწლედის დავალებებს.

უპირატესი ტემპით ვითარდება მრეწველობა, რომლის პროდუქციის მოცულობა 30,1 პროცენტით გაიზარდა.

რესპუბლიკამ წარმატებით დაძლია პროდუქციის ხარისხის მხრივ ჩამორჩენა და მტკიცედ დაიკავა ამ მაჩვენებლის მიხედვით წამყვანი ადგილი მოკავშირე რესპუბლიკებს შორის. მეათე ხუთწლედის განვლილ პერიოდში სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი ნაწარმის რაოდენობა გადიდდა 8-ჯერ და მეტად, მთელი მეათე ხუთწლედის სოციალისტური ვალდებულებებით კი მხოლოდ 6-ჯერ უნდა გაზრდილიყო.

ოთხ წელიწადში გადაჭარბებით შესრულდა ციტრუსის დამზადების ხუთწლიანი გეგმა, ხოლო მეჩაიეები უკვე ფოთლის კრეფის სეზონის დამდეგს გაანაღდებენ თავიანთ ხუთწლედს.

ამოქმედდა გადამმუშავებელი მრეწველობის ახალი დიდი საწარმოები, მეცხოველეობის კომპლექსები. ოთხი წლის მანძილზე საექსპლოატაციოდ გადაეცა 6 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი სახლები, რის შედეგადაც 100 ათასმა ოჯახმა გაიუმჯობესა საბინაო პირობები, მწყობრში ჩადგა ასობით ახალი სკოლა, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულება, საავადმყოფო, პროფესიონალ-ტექნიკური სასწავლებელი.

განუხრელად მაღლდება ხალხის ცხოვრების დონე, რაც თავის განზოგადებულ გამოხატულებას პოულობს ერთ სულ მოსახლეზე რეალური შემოსავლის გადიდებით, რომელიც ოთხ წელიწადში 18,3 პროცენტით გაიზარდა ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული 17,1 პროცენტის ნაცვლად.

მიმდინარე ხუთწლედში კიდევ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა მუშაობის სხვა ხარისხობრივ მაჩვენებლებს, საგრძნობლად ამაღლდა ორგანიზებულობა და დისციპლინა რესპუბლიკის სამეურნეო, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა დარგში.

საქართველოს სს რესპუბლიკის მშრომელებმა, რომლებიც ხუთწლედის დამამთავრებელ 1980 წელს მომავალი ხუთწლედის ბაზად, პარტიის XXVI ყრილობისათვის აქტიური მზადების წლად მიიჩნევენ, ახალი ძალით გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება და, ხელმძღვანელობენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ გამოთქმული დებულებებით, აგრეთვე ემზადებიან რა ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, **კისრულობენ შემდეგ სოციალისტურ ვალდებულებებს:**

— გამოაცხადონ 1980 წელი ლენინური, დამკვრელური მუშაობის წლად. მიაღწიონ ამ წელს სამრეწველო წარმოების მატების მაქსიმალურ ტემპს მიმდინარე ხუთწლედში — 8,4 პროცენტის ოდენობით, წინა ოთხი წლის 6,8 პროცენტით საშუალო წლიური ზრდის ტემპთან შედარებით და ამის მეოხებით უზრუნველყონ მეათე ხუთწლედის ვალდებულებათა შესრულება, გაზარდონ მრეწველობის პროდუქციის მოცულობა ხუთწლეულის შედეგების მიხედვით 41 პროცენტით, როგორც დავალებით არის გათვალისწინებული.

ამის მისაღწევად 1980 წელს აწარმოონ 150 მილიონი მანეთის ზეგეგმითი სამრეწველო პროდუქცია, გამოუშვან გეგმის დამატებით შემდეგი უმნიშვნელოვანესი სახეობათა პროდუქცია:

ფოლადი	1,2 ათასი ტონა
შავი ლითონების ნაგლინი	1 ათასი ტონა
ფოლადის მილები	0,7 ათასი ტონა
მანგანუმის მადანი	40 ათასი ტონა
ნავთობი	10 ათასი ტონა
გაზი	5 მილიონი კუბური მეტრი
ქვანახშირი	30 ათასი ტონა
მინერალური სასუქი	10 ათასი ტონა
„კაზ-608ვ“ მარკის სატვირთო ავტომობილები	30 ცალი
სამრეწველო ელმავლები	1 ცალი
შეკერილი ნაწარმი	1,7მილიონი მანეთისა
აბრეშუმის ქსოვილები	60 ათასი გრძივი მეტრი
წინდა	200 ათასი წყვილი
ბაიპაო ჩაი	1300 ტონა
ყურძნის ღვინო	50 ათასი დეკალიტრი
ხილის კონსერვი	500 ათასი პირობითი ქილა
საკონდიტრო ნაწარმი	200 ტონა
საყოფაცხოვრებო ქიმიის საქონელი	200 ათასი მანეთისა
კონიაკი	20 ათასი დეკალიტრი
უალკოჰოლო სასმელები	100 ათასი დეკალიტრი
ბოთლი	1 მილიონი ცალი

რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის მთელ მომავალ მუშაობაში განუხრელად იხელმძღვანელონ მოთხოვნებითა და დებულებებით, რომლებსაც შეიცავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სამეურნეო მექანიზმის შემდგომი სრულყოფისა და პარტიული და სახელმწიფო ორგანოების ამოცანების შესახებ“ და სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „დაგეგმვის გაუმჯობესებისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების შესახებ“.

საწარმოთა და გაერთიანებათა მუშაობის ყველა მაჩვენებლის გაუმჯობესების მიზნით გამოიყენონ ეკონომიკური და სოციალური პრობლემების მიზნობრივი კომპლექსური გადაჭრის მეთოდი, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა რეალიზაციის, მატერიალური და ფინანსური რეზერვების გამოვლენის ფორმები და საშუალებები;

— ყველგან გაავრცელონ თაოსნობა „ვიმუშაოთ ჩამორჩენილთა გარეშე“;

— ვადამდე, მაქსიმალური ეფექტიანობით აითვისონ საწარმოთა საპროექტო სიმძლავრენი;

— გაადიდონ მანქანათმშენებლობაში მოწყობილობის ცვლიანობის კოეფიციენტი სულ ცოტა 3 პროცენტით;

— განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ პროდუქციის წარმოებასა და მიწოდება-შეკვეთების და დადებული ხელშეკრულებების შესაბამისად დაწესებული ნომენკლატურისა და ასორტიმენტის მიხედვით.

განსაზღვრონ საბაზო საწარმოთა ნუსხა და განსაზღვრონ მოსამზადებელი მუშაობა დაგეგმვის ახალ მაჩვენებლებსა და მეურნეობრობის შეფასების ახალ კრიტერიუმებზე გადასასვლელად.

გაზარდონ შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში 1979 წელთან შედარებით 6,6 პროცენტით საგეგმო 6,1 პროცენტის ნაცვლად და უზრუნველყონ მეათე ხუთწლედის დავალების შესრულება; ამ ფაქტორის მეშვეობით მიიღონ სამრეწველო წარმოების მატების 83 პროცენტზე მეტი, რისთვისაც:

— განახორციელონ ღონისძიებათა კომპლექსი იმ მოთხოვნების შესასრულებლად, რომლებსაც შეიცავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილება „სახალხო მეურნეობაში შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისა და კადრების დინადობის შემცირების შესახებ“;

— განაგრძონ ბრძოლა შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, მიაღწიონ მუშათა კადრების დინადობის შემცირებას, შეამცირონ სამუშაო დროის დანაკარგები;

— კვლავაც ფართოდ გაავრცელონ მოწინავე შრომითი კოლექტივების საყურადღებო თაოსნობანი წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ასამაღლებლად;

— ყველი ღონისძიებით დანერგონ შრომის მეცნიერული ორგანიზაცია, ახალი პროგრესული დიდმწარმოებლური ტექნოლოგიური პროცესები, მოწყობილობა, წარმოების მექანიზაცია და ავტომატიზაცია;

— კვლავაც აქტიურად განავითარონ რაციონალიზატორობა და გამომგონებლობა. უზრუნველყონ, რომ წარმოებაში დაინერგოს სულ ცოტა 24 ათასი რაციონალიზატორული წინადადება, რომელთა წლიური ეკონომიკური ეფექტი 68 მილიონ მანეთს მიაღწევს;

— ფართოდ გაშალონ საწარმოო გაერთიანებებსა (საწარმოებსა) და ორგანიზაციებში შემხვედრი გეგმების მიღებისათვის მოძრაობა, როგორც წარმოების შინაგანი რეზერვების გამოვლენისა და რეალიზაციისათვის ბრძოლაში შრომითი კოლექტივების ინიციატივის გამოვლინება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრის პლენუმზე ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მიერ დასახულ მითითებათა შესაბამისად ფართოდ გააჩაღონ მუშაობა მატერიალური რესურსებისა და, უწინარეს ყოვლისა, ლითონის და სათბობის ყოველი ღონისძიებით დაზოგვისათვის:

— უზრუნველყონ შავი ლითონების ნაგლინის ეკონომიკა ნორმატივებთან შედარებით 1 პროცენტის ოდენობით;

შეამცირონ ხარჯი დადგენილ ნორმატივებთან შედარებით:

— სპეციალურ-საღუმელე სათბობისა შემოდგომა-ზამთრის პერიოდში სულ ცოტა 5 პროცენტით, ხოლო წლის შედეგების მიხედვით — 3,5 პროცენტით;

— ავტომენზინის და დიზელის სათბობისა შემოდგომა-ზამთრის პერიოდში სულ ცოტა 5 პროცენტით, ხოლო წლის შედეგების მიხედვით 2-3 პროცენტით;

(დასასრული მე-2 გვ.).





მიფრინავს „კოსმოს-1153“

1980 წლის 23 იანვარს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1153“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკდესი).

შრომის უკუგების ამაღლებით

ფელი — ლენინური, გარჯა — დამკვრელური!

(დასასრული)

— ელექტროენერგიისა შემოდგომა-ზამთრის პერიოდში სულ ცოტა 5 პროცენტით, ხოლო წლის შედეგების მიხედვით 3-5 პროცენტით;

— უზრუნველყონ ამ მაჩვენებლების მიღწევა იმ გზით, რომ:

— ვადამდე აამოქმედონ ენგურჰესის მეხუთე ჰიდროაგრეგატი — 7 ნოემბრისათვის, და ვარციხის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის მესამე საფეხური — 22 დეკემბრისათვის, ენერგეტიკოსის დღეს.

განუხრელად დაიცვან მომჭირნეობის რეჟიმი წარმოებისა და მოხმარების ყველა სფეროში, დანერგონ ახალი მასალები, კონსტრუქციული და ეკონომიკური გადაწყვეტები;

— აამაღლონ საავტომობილო პარკისა და თვითმფრინავების გამოყენების კოეფიციენტი, გააფართოონ სადისპეტჩერო-საკონტროლო პუნქტების ქსელი და გაზარდონ სატვირთო ავტომობილების გარბენის გამოყენების კოეფიციენტი 1,6 პროცენტით;

— განახორციელონ ღონისძიებანი, რათა მაქსიმალური რაოდენობის საწარმო-ორგანიზაციები გადავიდნენ მთავარმომარაგების მომმარაგებელ ორგანიზაციებთან ხელშეკრულებათა საფუძველზე გარანტირებული კომპლექსური მომარაგების პრინციპით მუშაობაზე.

დარაზმონ საწარმო-ორგანიზაციათა კოლექტივები ყოველგვარი პროდუქციის ხარისხის მკვეთრი აღმავლობის უზრუნველსაყოფად ბრძოლის შემდგომი გაძლიერებისათვის. გაზარდონ მრეწველობის პროდუქციის საერთო მოცულობაში სახელმწიფო ხარისხისნიშნიანი ნაწარმის ხვედრითი წონა 1979 წელთან შედარებით 3 პუნქტით და გაადიდონ იგი მთლიანად ხუთწლეულში 21 პროცენტამდე.

ამ მიზნების მისაღწევად:

— განაგრძონ პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსურ სისტემათა ეტაპობრივი დანერგვა რესპუბლიკის 450 საწარმოში, კერძოდ, 1980 წელს დაამთავრონ სისტემის დანერგვა 200 საწარმოში;

— აითვისონ 100 ახალი ნაწარმის გამოშვება, კერძოდ, აწარმოონ:

— ახალი ტიპის საყვინთი ელექტროძრავა პედვ-5;

— 6 ცხენისძალა სიმძლავრის ძრავიანი ორთვლიანი მცირეგაბარიტიანი ტრაქტორი;

— მონორელსური ტრანსპორტიორი მრტ-1;

— რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა შესაბამისი ორგანიზაციების მონაწილეობით მოაწყოს მანქანა-მოწყობილობისა და საწარმოო დანიშნულების სხვა ტექნიკის ტექნიკური დონის შეფასება, შეიტანოს დასამზადებელი და ახლად ასათვისებელი ნაწარმის ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრების გადიდებისა და მოძველებული პროდუქციის წარმოებიდან მოხსნის წინადადებანი;

— შეამცირონ წუნით გამოწვეული დანაკარგები 3 პროცენტით 1979 წელთან შედარებით;

განაახლონ სახალხო მოხმარების საქონლის ნომენკლატურა, გააფართოონ ასორტიმენტი, უზრუნველყონ მისი ზეგეგმითი წარმოება წელიწადში 40 მილიონი მანეთის ოდენობით და გაადიდონ ამ სახეობის საქონლის მოცულობის ზრდის მაჩვენებელი 40 პროცენტამდე, როგორც ეს მეათე ხუთწლედის სოციალისტური ვალდებულებებით არის გათვალისწინებული.

შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება და მიიღონ ზეგეგმითი მოგება რესპუბლიკაში დაახლოებით 3 მილიონი მანეთის ოდენობით, მათ შორის ნამყვან საწარმოებში, აგრეთვე დარგებში;

— რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში — 150 ათასი მანეთი.

— რუსთავის ქიმიურ ქარხანაში — 260 ათასი მანეთი.

— რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანაში — 40 ათასი მანეთი.

— ჭიათურის სამთამადნო კომბინატში — 50 ათასი მანეთი.

— საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებელში" — 100 ათასი მანეთი.

— საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატში" — 40 ათასი მანეთი.

— კვების მრეწველობის სამინისტროში — 2 მილიონი მანეთი.

— მსუბუქი მრეწველობის სამინისტროში — 500 ათასი მანეთი.

— ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროში — 200 ათასი მანეთი.

— ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროში — 100 ათასი მანეთი.

— გააუმჯობესონ ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენება მოწყობილობის უფრო ეფექტიანი მოხმარების გზით. აამაღლონ 1980 წელს მთლიანად რესპუბლიკაში ძირითადი საწარმოო ფონდების ფონდუკუგება 1 პროცენტით.

საქართველოს სსრ მთავარგაზის ძალებით გეგმის გადამეტებით უზრუნველყოს ათასი ბინის გაზიფიცირება, აქედან სოფლად — 900 ბინისა.

აამაღლონ ყოველკვარი ტრანსპორტის მუშაობის ეფექტიანობა, გააუმჯობესონ მისი ხარისხობრივი მაჩვენებლები, სრულყონ მოსახლეობის კულტურული მომსახურება.

— გადაზიდონ გეგმის გადამეტებით რკინიგზის და საავტომობილო ტრანსპორტით 500 ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი და გადაიყვანონ 2,5 მილიონი მგზავრი, საავიაციო ტრანსპორტით — 20 ათასი მგზავრი; გადაჭარბებით შესასრულონ საზღვაო ტრანსპორტით ტვირთზიდვის გეგმა და მიიღონ დამატებით 500 ათასი მანეთი მოგება;

— გაზარდონ საავტომობილო ტრანსპორტზე ტვირთბრუნვა 4 მილიონი ტონა კილომეტრით და მგზავრთბრუნვა — 11 მილიონი მგზავრკილომეტრით.

გაადიდონ კავშირგაბმულობის ძირითადი საქმიანობის მუშაკთა შრომის ნაყოფიერება დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით 1 პროცენტით; დააყენონ გეგმის გადამეტებით სოფლად 300 სატელეფონო ნომერი, გახსნან დამატებით კავშირგაბმულობის 16 ახალი განყოფილება, დანერგონ კავშირგაბმულობის 20 განყოფილებაში „ონეგის" კომპლექსები, დაამთავრონ ყველა საქალაქო მიმტანი უბნის გადაყვანა მოტორიზებულ მიტანაზე.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, „საქართველოს სს რესპუბლიკაში სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების წარმოების ზრდისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი დაჩქარებული განვითარების ღონისძიებათა შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად მიაღწიონ წარმოების კიდევ უფრო მნიშვნელოვან ზრდას, სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიყიდვის გადიდებასა და ხარისხის გაუმჯობესებას.

— სოფლის მეურნეობის პროდუქციის მთლიანი წარმოება გაზარდონ 2 მილიარდ 200 ათას მანეთამდე, უზრუნველყონ ამის შედეგად მისი საშუალო წლიური წარმოების ზრდა მთლიანად მეათე ხუთწლედში მეცხრე ხუთწლედთან შედარებით 34 პროცენტით და მეტად, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 29 პროცენტისა.

გაადიდონ 1980 წელს მემცენარეობისა და მეცხოველეობის სახელმწიფო შესყიდვა, რათა იგი შეადგენდეს:

მარცვლეულისა — 182 ათას ტონას,
შაქრის ჭარხლისა — 138 ათას ტონას,
კარტოფილისა — 170 ათას ტონას,
ბოსტნეულისა — 332 ათას ტონას,
ბაღჩეულისა — 15,5 ათას ტონას,
ხილისა — 462 ათას ტონას,
ხარისხოვანი ჩაის ფოთლისა — 445 ათას ტონას,
ციტრუსისა — 170 ათას ტონას,
ხორცისა — 145 ათას ტონას,
რძისა — 283 ათას ტონას,
მატყლისა — 5,4 ათას ტონას,
კვერცხისა — 476 მილიონ ცალს.

გაადიდონ სოფლის მეურნეობის კულტურების მოსავლიანობა და გაზარდონ მათი მოსავალი საშუალოდ ჰექტარზე:

მარცვლეული კულტურებისა — 27 ცენტნერამდე,
ხარისხოვანი ჩაის ფოთლისა — 75 ცენტნერამდე,
ყურძნისა — 70 ცენტნერამდე,
ციტრუსისა — 143 ცენტნერამდე,
ხილისა — 60 ცენტნერამდე,
შაქრის ჭარხლისა — 305 ცენტნერამდე,
კარტოფილისა — 138 ცენტნერამდე,
ბოსტნეულისა — 157 ცენტნერამდე.

მიაღწიონ პირუტყვის პროდუქტიულობის ზრდას, ამასთან გაადიდონ საზოგადოებრივ მეურნეობებში ერთი ძროხის საშუალო ნაწველი 1.825 კილოგრამამდე, მოქცეულის საშუალო მეკვერცხულობა — 180 ცალამდე, ცხვრის საშუალო ნაპარსი — 2,8 კილოგრამამდე, გაზარდონ სახელმწიფოსათვის ჩასაბარებელი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საშუალო ჩასაბარებელი წონა 300 კილოგრამამდე, ღორისა — 105 კილოგრამამდე, გააუმჯობესონ დამზადებული მეცხოველეობის პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლები, გაზარდონ პირველი ხარისხის რძის ხვედრითი წონა 71-73 პროცენტამდე, უმაღლესი და საშუალო ნაკვებობის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ხვედრითი წონა — 88 პროცენტამდე.

ჯოგის სტრუქტურის სრულყოფის, მოზარდეულის გამოზრდისა და მომრავლების უკეთესი ორგანიზაციის, ჯიშთსანაშენე და ზოოტექნიკურ-ვეტერინარული მუშაობის გაუმჯობესების გზით გაადიდონ წლის დამლევამდე საზოგადოებრივ მეურნეობებში:

მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა — 670 ათას სულამდე,
მათ შორის ძროხისა — 197 ათას სულამდე,
ღორისა — 375 ათას სულამდე,
მათ შორის ნეზვისა — 35 ათას სულამდე,
ცხვრისა — 1.345 ათას სულამდე,
მათ შორის ნერბისა — 837 ათას სულამდე,
გაადიდონ საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის განკუთვნილი საკვების დამზადების მოცულობა:
სულ უხეში საკვებისა — 2055 ათას ტონამდე,
თივისა — 706 ათას ტონამდე,
სენაჟისა — 902 ათას ტონამდე,
სხვა უხეში საკვებისა — 447 ათას ტონამდე,
საკვები ძირხვნებისა — 152 ათას ტონამდე,
ბალახის ფხვნილისა — 51 ათას ტონამდე,
სილოსისა — 1.005 ათას ტონამდე.

აამაღლონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების რენტაბელობის დონე 8-10 პროცენტით, ამასთან უზრუნველყონ ხუთწლეულის ვალდებულებათა შესრულება, რაც ითვალისწინებს ამ დონის 25 პროცენტით ამაღლებას და ძირითადად მეურნეობათა ზარალიანობის ლიკვიდაციას.

ააშენონ, განაახლონ და აამოქმედონ 1980 წელს სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამუშავებელი ახალი სიმძლავრენი, რომელთა მწარმოებლობაა:

ჩაისა — 1020 ტონა დღეღამეში, ანუ 57,2 ათასი ტონა წელიწადში;
ყურძნის პირველადი გადამუშავებისა — 35 ათასი ტონა;
ხილბოსტნეულისა საკონსერვო მრეწველობაში — 76 მილიონი პირობითი ქილა;
აწარმოონ ტყის აღდგენის სამუშაოები ტყის რგვისა და თესვისათვის 10.400 ჰექტარ ფართობზე. გაზარდონ ტყის კულტურების გახარება დადგენილ ნორმასთან შედარებით 2 პროცენტით.

კაპიტალური მშენებლობის დარგში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხუთწლიანი პროგრამა დაამთავრონ მიმდინარე წლის 7 ნოემბრისათვის, ნაცვლად ხუთნლედისათვის ნაკისრი ვალდებულებით გათვალისწინებული 15 დეკემბრისა;

— უზრუნველყონ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობის ზრდა 25 მილიონი მანეთით, შესასრულონ წლიური გეგმა 1980 წლის 26 დეკემბრისათვის;

— გადაჭარბებით შესასრულონ შრომის ნაყოფიერების ზრდის საგეგმო დავალება მშენებლობაში 0,2 პროცენტის გადამეტებით;

— შეამცირონ დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობა მიმდინარე წლის 1 იანვრის ფაქტობრივ ნაშთთან შედარებით 70 მილიონი მანეთით.

ვადამდე აამოქმედონ სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე შემდეგი უმნიშვნელოვანესი საწარმოო სიმძლავრენი:

— მანგანუმის ელექტროლიზური ორუანგის ახალი სიმძლავრენი რუსთავის ქიმიურ ქარხანაში;

— ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ღუმელები, პირველი — III კვარტალში, მეორე — ნოემბერში;

— 14 ათასი ჰექტარი სარწყავი და 5,8 ათასი ჰექტარი დაშრობილი მიწები;

— დაამთავრონ იმ ობიექტების მშენებლობა, რომლებიც ხელს უწყობენ შავი და კასპიის ზღვის აუზების გაჭუჭყიანების თავიდან აცილებას:

— თბილისისა და რუსთავის საწმენდ ნაგებობათა პირველი რიგისა, რომლის სიმძლავრეა 80 ათასი კუბური მეტრი წყალი დღეღამეში;

— ქალაქების ფოთისა და სოხუმის საწმენდ ნაგებობათა მექანიკური ნაწილისა;

— გამოიმუშაონ საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოებში დამატებითი პროდუქცია 300 ათასი მანეთის ოდენობით, მათ შორის აწარმოონ გეგმის გადამეტებით:

ცემენტი — 5000 ტონა;
შიფერი — 100 ათასი პირობითი ფილა;
მარმარილოს ნამცეცი — 8000 კუბური მეტრი;
მოსაპირკეთებელი კერამიკული ფილები — 3000 კვადრატული მეტრი;
მარმარილო — მოზაიკური ფილები 5000 კვადრატული მეტრი.

სახელმწიფო ხარისხისნიშნიანი ნაწარმის ხვედრითი წონა საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს პროდუქციის საერთო მოცულობაში გაადიდონ 20 პროცენტამდე.

თავი მოუყარონ მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს საცხოვრებელი ბინების, სკოლების, ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულების, საავადმყოფოებისა და სამკურნალოების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, უმნიშვნელოვანესი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო სიმძლავრეების ასამოქმედებელ ობიექტებზე.

დანერგონ წლის მანძილზე სულ ცოტა 1.200 რაციონალიზატორული წინადადება, რომელთა ეკონომიკური ეფექტი შეადგინს 4 მილიონ მანეთს.

მშენებლობაში პროგრესული მეთოდების დანერგვის მატერიალური რესურსების რაციონალური გამოყენების გზით გაზარდონ ძირითადი საშენი მასალები:

ცემენტი — 15 ათასი ტონა;
ლითონი — 5 ათასი ტონა;
ხე-ტყის მასალა 100 კუბური მეტრი.

კონსტრუქციების, ნაკეთობების, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შემუშავებული კომპლექსის უფრო სრული დანერგვის გზით ობიექტების სულ ცოტა 80 პროცენტი ჩაბარონ არანაკლებ „კარგი" შეფასებით.

იმის გათვალისწინებით, რომ 1981 წლიდან დაწყებული, დამტკიცდება კაპიტალური მშენებლობის სტაბილური ხუთწლიანი გეგმა (წლების მიხედვით დაყოფილი), რომელიც შეწონასწორებული იქნება მატერიალურ, შრომითს და საფინანსო რესურსებთან, მოწყობილობის მიწოდების შესაძლებლობებთან და სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების სიმძლავრეებთან, — 1980 წელს, ეკონომიკური ექსპერიმენტის წესით, გადაიყვანონ მუშაობის ასეთ პირობებზე მშენებლობის სამინისტროსა და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს თითო საერთო-სამშენებლო ტრესტი; კანსაზღვრონ ამ ტრესტებისათვის ახალი შესაფასებელი მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებს მათს მუშაობას.

— სიმძლავრეებისა და ობიექტების ამოქმედების მიხედვით;

— სასაქონლო სამშენებლო პროდუქციის მოცულობის მიხედვით (შემკვეთთა მიხედვით);

— მოგების მიხედვით;

— შრომის ნაყოფიერების ზრდის მიხედვით;

— დანერგონ აღნიშნულ ტრესტებში შემკვეთისა და მოიჯარის ანგარიშსწორება მთლიანად მშენებლობადამთავრებული და საექსპლოატაციოდ გადაცემული ობიექტებისათვის, რომლებიც მზად არიან პროდუქციის გამოსაშვებად და მომსახურების გასაწევად.

განაგრძონ ბრიგადული იჯარის საყოველთაო დანერგვა, ხუთწლედის დამლევისათვის გაადიდონ ბრიგადული იჯარით მომუშავე სამშენებლო კოლექტივების ხვედრითი წონა 48 პროცენტამდე; ამ წესით შეასრულონ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა საერთო მოცულობის სულ ცოტა 50 პროცენტი. ფართოდ განავითარონ შრომის ანაზღაურების აკორდული სისტემა. **უზრუნველყონ ბარაკებისა და სარდაფის საცხოვრებელი ბინების აღება 80 ათასი კვადრატული მეტრი ფართობით.**

ვადამდე, 29 დეკემბრისათვის შეასრულონ **სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის გეგმა.** შეამცირონ საქონლის ზენორმატიული მარაგი სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანიზაციების საცალო ქსელში 21 მილიონი მანეთით. საკუთარი პროდუქციის გამოშვების გეგმები საზოგადოებრივ კვებაში შეასრულონ 1 მილიონი მანეთის გადამეტებით, აქედან, სამომხმარებლო კოოპერაციაში, 500 ათასი მანეთისა.

გამოძებნონ საქონლის დამატებითი რესურსები საქონელგაცვლის ოპერაციების და დეცენტრალიზებული შესყიდვის წესით შემოზიდვის ხარჯზე 175 მილიონი მანეთის ოდენობით, აქედან 75 მილიონი მანეთისა — სამომხმარებლო კოოპერაციაში.

სახელმწიფო ვაჭრობის სისტემაში თვითმომსახურების მეთოდით საქონლის გაყიდვა გაზარდონ საქონელბრუნვის საერთო მოცულობის 55 პროცენტამდე. გაადიდონ წინასწარი შეკვეთებით სასურსათო საქონლის გაყიდვის მოცულობა 10 პროცენტამდე, ხოლო სამრეწველო საწარმოებში შეკვეთების მიმღები მოქმედი პუნქტების რიცხვი — 15 ერთეულით, სადილის შინ წასაღებად გაცემა — 15 პროცენტით. ვაჭრობისა და კულინარიის სასწავლებლების, საკურსო სწავლების სისტემის მეშვეობით, აგრეთვე კვალიფიკაციის ამაღლების გზით მოამზადონ სულ ცოტა 12 ათასი მუშაკი.

სამომხმარებლო კოოპერაციაში გაზარდონ თვითმომსახურების მეთოდით საქონლის გაყიდვის ხვედრითი წონა 78 პროცენტამდე. განახორციელონ კომპლექსური რაციონალიზაციის ღონისძიებანი 11 კოოპერაციულ ორგანიზაციაში, რესპუბლიკის 15 რაიონში გახსნან სანიმუშო-საჩვენებელი სავაჭრო ობიექტები. აწარმოონ კოოპერაციული მრეწველობის საწარმოებში გეგმის გადამეტებით 3 მილიონი მანეთის სახალხო მოხმარების საქონელი. მიაღწიონ, რომ სახელმწიფო ხარისხის ნიშანი მიენიჭოს 7 სახეობის ნაწარმს. სკოლა-საწარმოების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მეშვეობით და შეგირდების აყვანის გზით უზრუნველყონ სულ ცოტა 3 ათასი მასობრივ პროფესიათა მუშაკის მომზადება.

შეასრულონ **საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის საგეგმო დავალებანი** 29 დეკემბრისათვის და გაუნიონ მოსახლეობას გეგმის გადამეტებით მილიონი მანეთის მომსახურება, აქედან საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს ხაზით — 500 ათასი მანეთისა.

უპირატესი ტემპით განავითარონ სასოფლო საყოფაცხოვრებო სამსახური, გაადიდონ ასეთი მომსახურების მოცულობა სოფლად 19 პროცენტამდე დაგეგმილი 15,9 პროცენტის ნაცვლად; მაქსიმალურად გახსნან სოფლებში კომპლექსური მიმღები პუნქტები, რომლებიც კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ცენტრალურ კარმიდამოებში მოეწყობა; გაზარდონ მათი რაოდენობა 1000 ერთეულამდე. გაადიდონ მთისა და ნაკლებად დასახლებული სოფლების მომსახურე მოძრავი სახელოსნოებისა და გამსვლელი ბრიგადების რიცხვი 300 ერთეულამდე. მიიღონ ზეგეგმითი მოგება 100 ათასი მანეთის ოდენობით.

დანერგონ წლის დამლევამდე სულ ცოტა 37 ახალი ფორმისა და სახეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება.

საქართველოს „ავტოტექმომსახურების" სპეციალიზებული სამმართველოს სისტემაში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის გეგმა შეასრულონ 27 დეკემბრისათვის და გაუწიონ მოსახლეობას დამატებით 200 ათასი მანეთის საყოფაცხოვრებო მომსახურება. „ავტოვაზტექმომსახურების" თბილისის ავტოცენტრის ხაზით საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის გეგმა შეასრულონ 25 დეკემბრისათვის და გეგმის გადამეტებით უზრუნველყონ 60 ათასი მანეთის მომსახურების რეალიზაცია.

მიზანდასახულად და უკომპრომისოდ იბრძოლონ დარღვევებისა და ბოროტმოქმედების წინააღმდეგ, უზრუნველყონ მშრომელთა კოლექტივების მაღალი აქტიურობა ვაჭრობასა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებაში სანიმუშო წესრიგის დამყარების საქმეში.

ფონდების სრული და რიტმული რეალიზაციის გზით უზრუნველყონ რესპუბლიკის სანარმოთა და მშენებლობათა შეუფერხებელი მომარაგება მატერიალური რესურსებით.

შეასრულონ საბითუმო საქონელვაჭრობის წლიური გეგმა საქართველოს სსრ სახმომარაგების მიხედვით 30 დეკემბრისათვის, რეალიზაცია უყონ გეგმის გადამეტებით 2,5 მილიონი მანეთის პროდუქციას. აამაღლონ დატვირთვა-გადმოტვირთვისა და სასაწყობო სამუშაოთა მექანიზაციის დონე 89,6 პროცენტამდე, უზრუნველყონ, რომ საექსპლოატაციოდ გადაეცეს „საქხეტყეყაღალდმომარაგების" სამმართველოს სისტემაში 1.400 კვადრატული მეტრი სასაწყობო სათავსები.

მოაქციონ სამეურნეო ბრუნვაში გეგმის გათვალისწინებულზე 500 ათასი მანეთით მეტი მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, გაუმჯობესონ მეორეული ნედლეულის შეგროვების, გადამუშავებისა და დახარისხების ორგანიზაცია და სახალხო მეურნეობას გეგმის გადამეტებით მიაწოდონ 200 ტონა მეორეული ნედლეული.

გადაჭარბონ მოგების გეგმას 50 ათასი მანეთით.

სამეცნიერო ორგანიზაციებისა და სასწავლებლების და სანარმოო კოლექტივების შემოქმედებითი თანამეგობრობის, მეცნიერული კვლევის ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების საფუძველზე შეამცირონ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში მათი დანერგვის ვადები.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ორგანიზაციებმა:

— ჭიათურის მაღაროების გრძელი საწმენდი სანგრევებისათვის მანგანუმის მადნის მოპოვების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით შეიმუშაონ დამაგრების რაციონალური პასპორტები, რომლებიც ჭიათურის სამთამადნო კომბინატს გადაეცემა;

— საწარმოო გაერთიანება „საქქვანახშირის" ლენინის სახელობის შახტში დანერგონ ელიფსური ელასტიური ბიგები, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს გამონამუშევრების შენახვის ხარჯებს;

— აითვისონ რკინა-მანგანუმის აგლომერატის წარმოება და შეიმუშაონ ამ აგლომერატისაგან ნახშირბადოვანი ფერომანგანუმის გამოდნობის ტექნოლოგია ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში;

— შეიმუშაონ იმ ქრომმცირე უჟანგავი ფოლადების გამოდნობისა და შედუღების ტექნოლოგია, რომლებიც გამოიყენება ნეიტრალურ და კოროზიულ გარემოში, და აწარმოონ მოსამზადებელი სამუშაოები ამ სიახლის დასანერგავად რუსთავის ქიმიურ ქარხანაში;

განახორციელონ სილიციუმუხვი ცეოლითების სინთეზი იმ მიზნით, რომ პრაქტიკაში გამოიყენონ მეტი ციოლითები;

— მოაწყონ ჰიდროსტატიკური დატვირთვის პირობებში ხუდონჰესის დასაპროექტებელი თაღოვანი კაშხალის სხვადასხვა ვარიანტის გაანგარიშება უშუალოდ წყალსაცავის ნაპირებზე წყლის დაწოლის გათვალისწინებით;

— შეისწავლონ დიდი დიღმის საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობები ქ. თბილისის განაშენიანებასთან დაკავშირებით;

მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის სფეროში

საწარმოო გაერთიანება „საქნავთობაში":

— გაიზარდოს 5 პროცენტით ჭაბურღილების ბურღვის მოცულობა AH და AB სერიების 190-295 მმ დიამეტრის სატეხების გამოყენებით;

— გაიზარდოს 1,5 ჯერ ჩაის წარმოების ნარჩენების გამოყენება ცემენტის ხსნარის გამაგრების პერიოდის გასახანგრძლივებლად.

რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში:

— დამზადდეს და დაინერგოს წარმოებაში ფოლადის სამსხმელო ციცხვები ტორკრეტირებისათვის გაუმჯობესებული დანადგარი, „ორიონ-2" ტიპისა, ვადამდე, II კვარტალში;

— დაინერგოს მილების პაკეტების შეკვრის მექანიზაცია და ავტომატიზაცია მილამდიდავ საამქროში ვადამდე, II კვარტალში.

მანქანათმშენებლობის საწარმოებში:

— ათვისებული იქნეს ქარხანა „ელექტროვიბრომანქანაში" 1-2X9,5 ტიპის მკვებავის გამოშვება IV კვარტალში;

— ათვისებულ იქნეს ორი ახალი ტიპის ტრანსფორმატორი საწარმოო გაერთიანება „კავაზტრანსფორმატორში" ვადამდე, წლის I ნახევარში.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროში:

— დაინერგოს საფეიქრო შესაკერავების გამოშვების ტექნოლოგია 700 ათასი გრძლივი მეტრის ოდენობით. რესპუბლიკისა და ქვეყნის უმნიშვნელოვანესი ობიექტის მშენებლობაში, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში დახმარება გაუწიონ სოფლის სკოლებს.

უზრუნველყონ მოსახლეობისადმი სამკურნალო-პროფილაქტიკური დახმარების შემდგომი თვისებრივი გაუმჯობესება, 6 პროცენტით აამაღლონ მოსახლეობის, მათ შორის მოზარდების ჩაბმა დისპანსერიზაციაში, არსებითად გაზარდონ მისი ეფექტიანობა; შეასრულონ „საქმედეტეკის" რესპუბლიკური სამმართველოს საწარმოებში საქონელბრუნვის გეგმა ვადამდე, 20 დეკემბრისათვის; გააუმჯობესონ მოსახლეობის და სამკურნალო დაწესებულებების მომსახურება და მომარაგება სამედიცინო საქონლით, გახსნან დამატებით სამი მაღაზია.

საქართველოს პროფკავშირთა კურორტების მართვის რესპუბლიკური საბჭოს სისტემაში მოაწყონ სანატორიუმების, პანსიონატების, დასასვენებელი სახლების, საკურორტო პოლიკლინიკების, ბალნეოფიზიოდაწესებულებებისა და პროფკავშირული კურორტების მაღალხარისხოვანი მომზადება მთლიანად ნლევანდელი სეზონისათვის, რათა დაამთავრონ იგი ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისათვის. გაზარდონ სისტემის ჯანმრთელობის კერების გამტარუნარიანობა 450 ათას კაცამდე, მათ შორის, საოჯახო დასვენების ჯანმრთელობის კერებისა, 3.200 დამსვენებლით;

— ააშენონ და მოამზადონ საექსპლოატაციოდ 250-ადგილიანი ბავშვთა და მშობელთა სამკურნალო სანატორიუმი კურორტ ნაბეღლავში;

— შეასრულონ წლიური გეგმა ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით 20 დეკემბრისათვის, მიიღონ ზეგეგმითი დაგროვება 180 ათასი მანეთის ოდენობით;

— ვადამდე, 20 დეკემბრისათვის უზრუნველყონ პროფკავშირული საკურორტო ობიექტებისა და დამხმარე მეურნეობების კაპიტალური მშენებლობის, რემონტისა და კეთილმოწყობისათვის გამოყოფილი სახსრების ათვისება 7 მილიონი მანეთის ოდენობით.

